

გამონათქვამის საშუალო სიგრძისა და ტექნიკასთან გატარებული დროის
კავშირი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში

მარიამ კვერნაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„ როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

მარიამ კვერნაძე

აბსტრაქტი

დღესდღეობით რთულია ვიმსჯელოთ ბავშვის განვითარებაზე ისე, რომ უყურადღებოდ დავტოვოთ ფაქტი, თუ რა როლს ასრულებს ტექნიკა ადამიანის ცხოვრებაში. ბოლო ათწლეულში ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა ბავშვებისთვის ერთიორად გაიზარდა. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავლენას ახდენს ტექნიკასთან გატარებული დრო ბავშვებზე. აქვს თუ არა მას კავშირი ბავშვის განვითარებასთან და თუ აქვს რა სახისაა ის? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას არაერთი მეცნიერი შეეცადა, თუმცა ერთგვაროვანი პასუხი ჯერ კიდევ არ არსებობს.

იმ შემთხვევაში, თუ განვითარებასა და ტექნიკასთან გატარებულ დროს შორის კავშირი მართლაც არსებობს, ერთ-ერთი სფერო, რომელშიც ეს კავშირი თვალსაჩინო იქნება, არის მეტყველება. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, არსებობს თუ არა კავშირი გამონათქვამის საშუალო სიგრძესა (MLU) და ტექნიკასთან გატარებულ დროს შორის. გამონათქვამის საშუალო სიგრძე ექსპრესიული მეტყველების შესაფასებელი ინსტრუმენტია, რომელიც გამონათქვამში სიტყვების ან მორფემების რაოდენობის დათვლით განისაზღვრება. საგულისხმოა, რომ კვლევის ერთ-ერთი სირთულე მისი ადაპტურობის საკითხია.

კვლევა ჩატარდა ბაქსვუდის სკოლასა და N63 საჯარო ბაღში სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე, რადგან ამ ასაკში მეტყველების განვითარება კრიტიკული მნიშვნელობისაა. ბავშვებს უმაგრდებოდათ ჩამწერი აპარატი, რის საშუალებითაც ხდებოდა მათი თავისუფალი საუბრის ჩაწერა და გაანალიზება. ტექნიკასთან გატარებული დროის შესაფასებლად ვიყენებდით ერთ-ერთი უცხოური კითხვარის (Bournemouth University) ადაპტირებულ ვერსიას. კითხვარი მიეწოდებოდათ მშობლებს ონლაინ, ან ურიგდებოდათ ბეჭდური სახით. კვლევა იყო კორელაციური სახის.

შედეგების მიხედვით, გამონათქვამის საშუალო სიგრძის საშუალო მაჩვენებელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში 5.014-ია. რაც შეეხება ტექნიკას, ცალცალკე დავითვალეთ კომპიუტერთან, ტელეფონთან და ტელევიზორთან გატარებული დრო, თუმცა ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა და გამონათქვამის საშუალო სიგრძესა და ტექნიკასთან გატარებულ დროს შორის კავშირი არ დადგინდა.

საკვანძო სიტყვები: გამონათქვამის საშუალო სიგრძე, MLU, ტექნიკასთან გატარებული დრო, ექსპრესიული მეტყველება, მორფემა.

Abstract

Nowadays, it's very difficult to discuss the child development without paying attention to the role of technology in everyday life. During the last decade, technological accessibility for children has significantly increased. There are different positions about the influence of technology. Does the time spent by a child for using technology have relationship with the development? And if it does, what kind of relationship is it? Many researches have tried to demonstrate the correlation between these two variables, but the answer is still unclear.

Supposing that there is a relationship between the child development and the time which he/she spends with technology, language must be a significant variable. The aim of our research is to find out whether there is a connection between MLU and the time spent with technology. Mean length of utterance (MLU) is a valid instrument that gives us information about child's expressive language. MLU is calculated with the quantity of morphemes or words in utterance. We should note that, adaptation of this method to the Georgian population must be questionable because of diversity of the Georgian language.

The research took place in Buckswood International School Tbilisi and #63 public school Tbilisi. Participants were 30 children with their parents. Because the language development is critical in this period children taking part in research were preschoolers (4-6 years). The procedure was simple, a little voice recorder was put in children's pocket during the free play. After gathering 100 utterances we had to analyze it and count MLU index. To find out how many hours are spent with technology, we used the Bournemouth University questionnaire, adapted to the Georgian population. The questionnaire was filled by parents online (in several cases printed version was needed). A correlational study was done.

The results have shown no relationship between these two variables. The mean of Mean length of Utterance in preschool children found out to be 5.014. We separately counted time spent with TV, Computer and Phone, but neither of them seems to have a connection with MLU. Our assumption was not justified.

Key Words: Mean length of Utterance (MLU), Child development, expressive language, morpheme.

მადლობა

პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ნაშრომის ხელმძღვანელს, ე-ნ ნატა მეფარიშვილს გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის. ასევე მადლობას ვუხდით ე-ნ თინათინ ბოლქვაძეს და ზაზა ხეჩინაშვილს ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირებისთვის.

მადლობა ბაქსვუდის სკოლას, N 63 ბაღის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს კვლევის განხორციელების ხელშეწყობისთვის.

დაბოლოს, დიდი მადლობა მშობლებს კვლევაში ჩართვისა და მათ შვილებთან მუშაობის ნდობისათვის.